**შპს ზოტი ჰოლდინგი**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

შპს ზოტი ჰოლდინგი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

| | შენიშვნა | 31.12.2023 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 4 | 11,866 |
| საინვესტიციო ქონება | 4 | 5,294 |
| არამატერიალური აქტივები | | 1 |
| განხორციელებული ინვესტიციები | | 7,016 |
| | | **24,177** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | |
| მარაგები | | 13 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 5 | 221 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 306 |
| | | **540** |
| **სულ აქტივები** | | **24,717** |
| | | |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | |
| საწესდებო კაპიტალი | | - |
| გაუნაწილებელი მოგება | | 17,567 |
| | | **17,567** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| სასესხო ვალდებულება | | **6,775** |
| | | |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | 155 |
| მიღებული ავანსები | 7 | 173 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 47 |
| | | **375** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **24,717** |

დირექტორი ---------- ირაკლი რეხვიაშვილი

11 დეკემბერი 2024 წელი

შპს ზოტი ჰოლდინგი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

| | შენიშვნა | 2023 |
|---|---|---|
| შემოსავალი იჯარებიდან | 7 | 1,638 |
| შემოსავალი გაცემული ლიცენზიებიდან | 7 | 2,625 |
| სხვა შემოსავალი | 7 | 568 |
| | | **4,831** |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 8 | (964) |
| ცვეთა | | (955) |
| წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან | 9 | (637) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 10 | (1,523) |
| **საოპერაციო მოგება** | | **753** |
| ფინანსური ხარჯი | | (628) |
| ფინანსური შემოსავალი | | 34 |
| წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან | | (438) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(279)** |
| **წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | | **(279)** |

შპს ზოტი ჰოლდინგი

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

| | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2022** | | **-** | **20,515** | **20,515** |
| ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით | 11 | - | (2,669) | **(2,669)** |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | | - | (279) | **(279)** |
| **31 დეკემბერი 2023** | | **-** | **17,567** | **17,567** |

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ზოტი ჰოლდინგი (საიდენტიფიკაციო კოდი 402233052) დაფუძნდა 2022 წლის 15 აგვისტოს, კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

კომპანიის საბოლოო მფლობელებს წარმოადგენდნენ შემდეგი ბენეფიციარები:

| ბენეფიციარი | ქვეყანა | 31.12.2023 |
|---|---|---|
| ფ/პ იოსებ ნიბლაძე | საქართველო | 28% |
| ფ/პ ირაკლი რეხვიაშვილი | საქართველო | 26% |
| ფ/პ ფოლკე ჯონი გრონლუნდ | შვედეთი | 20% |
| ფ/პ ვარლამ რეხვიაშვილი | საქართველო | 14% |
| ფ/პ გილ ფეილერ | გერმანია | 6% |
| შპს მირატეკ | უნგრეთი | 6% |
| | | **100%** |

შპს ზოტი ჰოლდინგი 2023 წლის 26 მარტს გახდა შპს ჯორჯია თექნოლოჯი პარკის 100%-იანი წილის მფლობელი.

**შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკი"** (საიდენტიფიკაციო კოდი: **405101367)** დაფუძნდა 2015 წლის 23 მარტს. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკი" არის თბილისის გლდანის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (Tbilisi Free Industrial Zone - Tbilisi FIZ) მმართველი კომპანია. ის პასუხისმგებელია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ოპერაციებსა და განვითარებაზე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და უცხოური და ადგილობრივი კომპანიების მოზიდვაზე, რათა ხელი შეუწყოს ტექნოლოგიური სექტორის განვითარებასა და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკი" უზრუნველყოფს თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ბიზნესებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ადმინისტრაციული სერვისების მიწოდებას და ბიზნეს ოპერაციების მხარდამჭერ ინფრასტრუქტურას.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ფართების და ინფრასტრუქტურული აქტივების გაქირავება, აღნიშნულ ზონაში საქმიანობის ლიცენზიის გაცემა და სხვა დაკავშირებული ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა.

შპს ჯორჯია თექნოლოჯი პარკს ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია, **შპს "თი ეფ ზი სერვისის"** (საიდენტიფიკაციო კოდი: **400284018**), რომელიც დაფუძნდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში ბიზნესებისთვის სხვადასხვა სერვისების მიწოდების მიზნით 2020 წლის 26 თებერვალს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, თუმცა აქტიური საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2023 წელს. კომპანია უზრუნველყოფს ზონაში რეგისტრირებული ბიზნესებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ, ლოჯისტიკურ, საკონსულტაციო და ინფრასტრუქტურულ სერვისებს.

2. მომზადების საფუძვლები

## ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე  კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის  (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

### შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფში შემავალი კომპანიები განაგრძობენ ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია ჯგუფისთვის.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### 3.1 ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

### 3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 3.3 ფინანსური ისტრუმენტების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31 დეკემბერი 2023 |
|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 201 |
| სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან | - |
| მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ | 20 |
| | **221** |

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერს არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

| | 31 დეკემბერი 2023 |
|---|---|
| ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 96 |
| ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში | 210 |
| | **306** |

7. ამონაგები

| | 2023 |
|---|---|
| ლიცენზიების გაცემიდან მიღებული შემოსავლები | 2,625 |
| იჯარებიდან მიღებული შემოსავლები | 1,638 |
| დაერთების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები | 332 |
| საბაჟო-საბროკერო მომსახურება | 155 |
| სხვა შემოსავლები | 81 |
| | **4,831** |

მიღებული ავანსები წარმოადგენს ჯგუფის საკონტრაქტო ვალდებულებას, რომელიც წარმოქმნილია კლიენტებთან დადებულ ხელშეკრულებებზე წინასწარ მიღებული ჩარიცხვებიდან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მიღებული ავანსები შეადგენს 173 ათას ლარს.

8. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

| | 2023 |
|---|---|
| ხელფასის ხარჯი | (724) |
| პრემია და ბონუსი | (218) |
| თანამშრომელთა სხვა სარგებელი | (22) |
| | **(964)** |

9. წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან

| | 2023 |
|---|---|
| რეალიზებული გრძელვადიანი აქტივების ღირებულება | (2,043) |
| შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან | 1,406 |
| | **(637)** |

### 10. სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 2023 |
|---|---|
| საგადასახადო ხარჯი | (532) |
| პროფესიული სერვისები | (439) |
| საბროკერო მომსახურება | (126) |
| იჯარის ხარჯი | (78) |
| კომუნალურები | (73) |
| მარკეტინგის ხარჯი | (72) |
| დაცვის ხარჯი | (52) |
| ოფისის ხარჯები | (37) |
| სხვა ხარჯი | (114) |
| | **(1,523)** |

### 11. ოპერაციები მფლობელების გადაწყვეტილებით

2023 წლის 31 იანვარს შპს ჯორჯია თექნოლოჯი პარკმა დაკავშირებულ მხარეს აპატია 2,269 ათასი ლარის მოთხოვნა და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გადაიხადა 400 ათასი ლარის მოგების გადასახადი. აღნიშნული ოპერაციის ჯამური ეფექტი, 2,669 ათასი ლარი, აღირიცხა, როგორც კაპიტალის ოპერაცია.

### 12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

| | 2023 |
|---|---|
| **ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება** | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 16 |
| **სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება** | |
| იჯარებიდან მიღებული შემოსავლები | 149 |
| ფინანსური შემოსავალი | - |
| წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | (617) |
| **ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი** | |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება | 356 |

### 13. პირობითი ვალდებულებები

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

**სასამართლო დავები**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის

წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**საოპერაციო გარემო**

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

**14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ჯგუფმა გამოაცხადა 2,044 ათასი ლარის დივიდენდი.

**15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | *აშშ დოლარი* | *ევრო* |
|---|---|---|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| მიწა | არ ცვდება |
| ინფრასტრუქტურული აქტივები | 20 |
| მანქანა დანადგარები | 12-15 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც ჯგუფს აქვს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდის მიზნით ან ორივესთვის, მაგრამ არა გასაყიდად ჩვეულებრივი ბიზნესის პროცესში, საქონლის წარმოებაში ან მიწოდებაში გამოყენებაში ან მომსახურების გაწევაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონებაში შემავალი საწყობების ცვეთა დარიცხულია მისი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში - 20 წლის განმავლობაში.

ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. აშენებული საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული საინვესტიციო ქონების სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანასთან მათი დანიშნულებისამებრ და დაკაპიტალიზირებული სესხის დანახარჯებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონების ღირებულება, რომელიც შეძენილია არაფულადი აქტივის ან აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების კომბინაციის სანაცვლოდ, მოიცავს მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებას ან დათმობილი აქტივის ღირებულებას. თუ მიღებული აქტივისა და გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება შეფასდება საიმედოდ, გადაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება გამოიყენება ღირებულების შესაფასებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებული აქტივის რეალური ღირებულება უფრო ნათლად ჩანს. საინვესტიციო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებული წმინდა შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარებულია მოგება-ზარალში. როდესაც ქონების გამოყენების მიზნობრიობა იცვლება ისე, რომ იგი რეკლასიფიცირებულია როგორც ქონება და აღჭურვილობა ან ინვენტარი, გადაცემა განხორციელდება ასეთი ქონების საბალანსო ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისთვის.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ფინანსური ვალდებულება უნდა შეფასდეს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

## ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

## გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყონებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

## *ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა*

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

## ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

### მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ წინასწარ გადასახდელებს, რომლებიც ჯგუფის მიერ მომავალი საქონლის ან მომსახურების მიწოდებასთან არის დაკავშირებული. ავანსები აღირიცხება როგორც ვალდებულება, სანამ ჯგუფი არ დააკმაყოფილებს შესაბამისი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულებას. მიღებული ავანსები აღირიცხება არადისკონტირებული ღირებულებით და აღიარების პერიოდში გადატანილია შემოსავლებში, როგორც შემოსავალი, შესაბამისად, როდესაც საქონელი ან მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს.

### დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

### საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

### დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ  კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

### ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ჯგუფი შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტსა ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს. მრავალელემენტიანი გარიგებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯგუფი განცალკევებით აღრიცხავს ინდივიდუალურ მომსახურებებს, თუ ისინი განცალკევებულია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ განფასების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ყიდის მისი ოპერაციების დამუშავების და ტექნიკური მომსახურებებს. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

**შემოსავალი სალიცენზიო და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებიდან** აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში. ამ შემოსავლის აღიარება ხდება შესასრულებელი მოვალეობის შესრულებისთანავე, შესაბამისი საბაზისო ოპერაციების იმ მომენტში, როდესაც სრულდება საბაზისო ოპერაცია.

**საიჯარო შემოსავალი** საიჯარო შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად საიჯარო ვადის განმავლობაში. შემდგომი პერიოდების საიჯარო ქირის მიღების შემდეგ, შესაბამისი შემოსავლის თანხა გადავადდება და აღიარდება შემდგომ პერიოდში. აუღიარებელი შემოსავალი კლასიფიცირდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ვალდებულებების ფარგლებში მიღებული ავანსების სახით.

### თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შესაბამისი მომსახურების მიღება დასაქმებულისგან.  ჯგუფს აქვს იურიდიული ვალდებულება, რომ საპენსიო ფონდში შეიტანოს დასაქმებულთა მთლიანი ხელფასისა და სარგებლის 2%.

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის ფინანსური ხარჯი მოიცავს საბანკო გარანტიაზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდიებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ არ არსებობს სხვა რეალური ალტერნატივა, და უნდა დაიფაროს ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

### დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

1. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

| ისტორიული ღირებულება | მიწის ნაკვეთები | ინფრასტრუქტურ ული აქტივები | მანქანა-დანადგარები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ ძირითადი საშუალებები | საინვესტიციო ქონება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2022** | **3,881** | **8,135** | **3,444** | **42** | **-** | **15,443** | **7,031** |
| შემოსვლა | - | - | 1,955 | 150 | 12 | 2,117 | 178 |
| ტრანსფერი | - | - | - | - | - | - | - |
| გასვლა | - | - | (2,964) | (42) | - | (3,006) | - |
| **31 დეკემბერი 2023** | **3,881** | **8,135** | **2,435** | **150** | **12** | **14,613** | **7,209** |
| | | | | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | |
| **31 დეკემბერი 2022** | **-** | **(1,931)** | **(1,135)** | **(42)** | **-** | **(3,108)** | **(1,563)** |
| დარიცხული ცვეთა | - | (407) | (180) | (14) | (1) | (602) | (352) |
| გასული აქტივის ცვეთა | - | - | 921 | 42 | - | 963 | - |
| **31 დეკემბერი 2023** | **-** | **(2,338)** | **(394)** | **(14)** | **(1)** | **(2,747)** | **(1,915)** |
| | | | | | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **31 დეკემბერი 2022** | **3,881** | **6,204** | **2,309** | **-** | **-** | **12,394** | **5,468** |
| **31 დეკემბერი 2023** | **3,881** | **5,797** | **2,041** | **136** | **11** | **11,855** | **5,294** |

ჯგუფის  საინვესტიციო ქონება მოიცავს თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განთავსებულ გაქირავებულ საწყობებს. დამხმარე ინფრასტრუქტურა და ნაგებობები, გარდა გასაქირავებლად გამიზნულ საწყობებისა, შესულია ძირითად საშუალებებში შეყვანილ ინფრასტრუქტურულ აქტივებში.

2023  და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

| | შენიშვნა | 31.12.2023 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 4 | 11,866 |
| საინვესტიციო ქონება | 4 | 5,294 |
| არამატერიალური აქტივები | | 1 |
| განხორციელებული ინვესტიციები | | 7,016 |
| | | **24,177** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | |
| მარაგები | | 13 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 5 | 221 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 306 |
| | | **540** |
| **სულ აქტივები** | | **24,717** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | |
| საწესდებო კაპიტალი | | - |
| გაუნაწილებელი მოგება | | 17,567 |
| | | **17,567** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| სასესხო ვალდებულება | | **6,775** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | 155 |
| მიღებული ავანსები | 7 | 173 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 47 |
| | | **375** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **24,717** |

დირექტორი ---------- ირაკლი რეხვიაშვილი

11 დეკემბერი 2024 წელი